პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 40 (13161) | ხუთშაბათი, 18 თებერვალი 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ თბილისში შეიკრიბებიან რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის წარმომადგენლები — ექიმები, მასწავლებლები, კულტურის მუშაკები, აგრონომები, ვეტექიმები, ისინი, ვინც საბჭოთა სოფლის წინსვლისათვის დაუღალავად შრომობენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: შეკრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან პირველ რიგში) — კ. კეკუა — გალის რაიონის სოფელ დიხაზურგის კლუბის გამგე, ლ. პარკაძე — საჩხერის რაიონის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე, ა. პაპიძე — ამავე რაიონის სანეიდსადგურის ლაბორანტი, ვ. ძუკაევა — ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე; (მეორე რიგში) ა. კერესელიძე — გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, ბ. ბაჯიევი — ბოლნისის რაიონის არახლოს საბჭოთა მეურნეობის უფროსი კონტროლიორი, ბ. მარკოზაშვილი — გორის რაიონის სოფელ დიცის კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, კ. შმეკაშვილი — გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის კულტურის სახლის დირექტორი, ბ. ხხირბლაძე — გორის რაიონის სოფელ ძევერის ამბულატორიის გამგე, ჯ. ბუჯიაშვილი — გორის რაიონის ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.

ფოტო ს. კილაძისა.

პარტიის სასოფლო რაიკომი

საბჭოთა ადამიანებს ბევრი რამ აკავშირებს პარტიის სასოფლო რაიკომებთან: სოციალისტური გარდაქმნები სოფლად, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება, ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის. ამ პარტიული ორგანოების დიდმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ გავლენა მოახდინა მინდვრებისა და ფერმების მშრომელთა შეგნებულობის ამაღლებაზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ნოვატორთა მრავალრიცხოვანი არმიის აღზრდაზე.

პარტიის სასოფლო რაიკომებს, რომლებიც ძირითადი ორგანიზაციული ფორმაა პარტიული ხელმძღვანელობისა სოფლად, როდი ამოუწურავთ თავიანთი დანიშნულება, ისინი სავსებით შეესაბამებიან თანამედროვე პირობებსა და ამოცანებს. ეს ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა და დამაჯერებლად დაადასტურეს პარტიულმა კონფერენციებმა, რომლებიც ამას წინათ გაიმართა სასოფლო რაიონებში და რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს ის, რომ აღდგენილ იქნა პარტიულ ორგანიზაციათა ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით აგება, რაც განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებით.

კონფერენციებზე არჩეული პარტიის სასოფლო რაიკომები პრაქტიკულ მუშაობას შეუდგნენ. მათ წინაშე დიდნაწილოვანი ამოცანებია: დარაზმონ სოფლის მშრომელები პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმათა წარმატებით შესრულებისათვის. სასოფლო რაიკომების ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა ახლა ჩაედება წინანდელთან შედარებით სხვა პირობებსა და ტერიტორიულ საზღვრებში. ახლა რაიკომები აერთიანებენ გაცილებით მეტ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ბევრად გაიზარდა სოფლის კომუნისტთა არმია. ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა ბევრი გამოცდილი, ყოველმხრივ განათლებული ორგანიზატორი. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, ბელორუსიაში პარტიის მეტი წილი სასოფლო რაიკომების პირველ მდივნებს აქვთ უმაღლესი განათლება, სერიოზული თეორიული მომზადება, პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება.

ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის გადაჭრით გაუმჯობესდეს პარტიული ხელმძღვანელობა სასოფლო რაიონებში სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი, ყოველი ღონისძიებით გაძლიერდეს პარტორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში. ამ ამოცანებს რაიკომები წარმატებით შეასრულებენ, თუ განუხრელად იხელმძღვანელებენ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებით, ყოველი ღონისძიებით სრულყოფენ თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, დაეყრდნობიან პირველადს პარტორგანიზაციებს, აამაღლებენ კადრების პასუხისმგებლობას, დაუცხრომლად იმუშავებენ მასებში.

პარტიულ კონფერენციებზე მართებულად აღინიშნა: აღდგენილ რომ იქნა პარტიული ორგანიზაციების აგება ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით, რაც განსაზღვრულია სკკპ წესდებით, ეს სულაც არ ნიშნავს ყოველივე იმის მექანიკურად აღდგენას, რაც წინანდელი რაიკომების მუშაობის მეთოდებში იყო. პარტიულმა ორგანიზაციებმა და მათმა ხელმძღვანელმა ორგანობამ უნდა გამოიყენონ ყოველივე საგულისხმო იმ გამოცდილებიდან, რაც პარტიულ მუშაობაში შევიძინეთ სოფლად როგორც წინათ, ისე ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში.

პარტიის რაიკომი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოა, იგი მოწოდებულია მოქმედებდეს არა სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი მეშვეობით, დიდი მომთხოვნელობით ეკიდებოდეს მათს მუშაკებს, სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობისათვის იზიდავდეს პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს, ყველა მშრომელს. საქმე ეხება იმას, რომ რაიკომებმა არ დაუშვან ისეთი უარყოფითი მოვლენები, როგორიც არის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციების, უფლება-მოვალეობის აღრევა, რასაც ვხვდებოდით წარსულში, პარალელიზმი მუშაობაში, ქაღალდების თხზვა და სახხდომო ფუსფუსი. საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკაში პარადული ხმაური და ბაქიაობა, სამეურნეო ორგანოების ჭვრილმანი მეურვეობა, ადმინისტრირება, მბრძანებლობა.

კადრებთან მუშაობა, მათი შერჩევა და აღზრდა, შესრულების შემოწმება, ხელმძღვანელების, ყველა კომუნისტის პერსონალური პასუხისმგებლობის გადიდება, რომლებსაც დავალებული აქვთ გარკვეული საქმე, პარტიული მუშაობის ქვაკუთხედია, პარტიული ორგანოს საქმიანობის ძირითადი რგოლია. ვ. ი. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ლენინურ პარტიულმა მუშაკებმა წესად შემოიღეს: ჩახვედი კოლმეურნეობაში თუ საბჭოთა მეურნეობაში — გაერკვიე, როგორ მუშაობს პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რით ცხოვრობენ კომუნისტები, როგორ ეწევიან მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. როცა გაერკვევი — დაეხმარე, მიეცი საჭირო რჩევა-დარიგება, დაეხმარე სწორად გაანაწილონ კომუნისტთა ძალები.

ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აკამებენ სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებს, ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. რაიკომის მუშაკებს მოეთხოვებათ დაეხმარონ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, სოფლის ყველა მშრომელს უფრო ღრმად გაერკვნენ ეკონომიკის მდგომარეობაში, დახმარონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის, მინდვრების მოსავლიანობის გადიდების პირველი რიგის ღონისძიებანი. მეტად საჭიროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ სწორად გამოვიყენოთ მაღალნაყოფიერი შრომთმატერიალური დაინტერესების პრინციპი, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უკეთ დავაკმაყოფილოთ სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნილებანი.

სასოფლო რაიკომების მუშაობის, მათი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის დონე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ უხელმძღვანელებენ მათ საოლქო, სამხარეო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები. სოფლის პარტიული ორგანიზაციებს სჭირდებათ არა ზოგადი მითითებანი, არა რევიზორთა დროდადრო ჩასვლა, არამედ კონკრეტული საქმიანი დახმარება და რჩევა-დარიგება, ინსტრუქტაჟი, მათი გამოცდილების განზოგადება და გავრცელება.

სოფლის მშრომელებს პასუხსაგები საქმეები მოელით. ეს საქმეები უნდა გადაჭრან მეგრძოლურად, ამასთან აღმოფხვრან ყოველგვარი პარადულობა, ხმაური. ყველა ღონისძიება უნდა მოვაზმაროთ იმას, რომ მივაღწიოთ კონკრეტულ შედეგებს, ავამოქმედოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მდიდარი რეზერვები და შესაძლებლობანი, რაც შეიძლება მეტი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.



17 თებერვლის მოწინავე

ყველაზე კარგი პოლიტიკა, ყველაზე შესანიშნავი საქმე შეიძლება ჩაფუშონ, დაღუპონ არაკეთილსინდისიერმა მუშაკებმა. მასსების ყოველდღიური კონტროლი, პრინციპული კრიტიკა საუკეთესო საშუალებაა უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ, საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულების წინააღმდეგ. სხვადასხვა „ცრუპენტელათა", იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ფუჭად ხარჯავენ სიტყვას.

პარტია უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავს, რაც შეიძლება მალე აღმოფხვრათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩამორჩენა, ყოველი ღონისძიებით გავადიდოთ პური, ხორცის, რძის, ტექნიკური კულტურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. ამ ამოცანების გადაჭრა პარტიის სასოფლო რაიკომებისაგან მოითხოვს უფრო ღრმად სწვდებოდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივ მეურნეობას, სწავლობდნენ ეკონომიკას, ტექნიკას, მოწინავე გამოცდილებას, უზრუნველყოფდნენ რეზერვების გონივრულად გამოყენებას, მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრების შერჩევას, აღზრდასა და განაწილებას.

სწორედ ამით დაიწყეს თავიანთი საქმიანობა პარტიის კრასნოდარის მხარის ტიმაშევსკის რაიკომის მუშაკებმა. მათ უურადღებით შეისწავლეს რაიონული ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საქმიანი თვისებები. რაიონში სოფლის მეურნეობის ხუთასზე მეტი სპეციალისტი შრომობს — საშუალოდ ოც-ოცი კაცი ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაზე. მაგრამ მათი უმრავლესობა კანცელარიებში მუშაობს. ამავე დროს საკოლმეურნეო ბრიგადების 243 ხელმძღვანელიდან მხოლოდ 65 ხელმძღვანელს აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება. საკოლმეურნეო ბრიგადა, და ისიც ყუბანში — ეს ხომ დიდი და რთული საწარმოო უბანია. ახლა რაიკომის რეკომენდაციებით ბრიგადირებად, ფერმების გამგეებად აწინაურებენ გამოცდილ, ინიციატიიან სპეციალისტებს. სპეციალისტი კომუნისტები დაწესებულებებიდან მეურნეობებში გადადიან სამუშაოდ.

პარტიის სასოფლო რაიკომის საქმიანობაში უმთავრესია არა დირექტივებისა და გადაწყვეტილებების წერა, არამედ ცოცხალი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა. რაიკომის მუშაკთა ადგილია არა კაბინეტში, არამედ საკოლმეურნეო ბრიგადებში, ფერმებში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, ადამიანთა შორის.

ბევრი საზრუნავი აქვს პარტიის სასოფლო რაიკომს. მაგრამ ყველა საკითხს თავისი აპარატის ძალებით, რა თქმა უნდა, ვერ გადაწყვეტს. რაიკომი მტკიცედ უნდა ეურდნობოდეს პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, აქტივს, უწინარეს ყოვლისა რაიკომის წევრებს, აიქტიურებდეს საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას.

პარტიის რაიკომების მდივნები: ომსკის ოლქის რუსკაია პოლიანისა, — ვ. ი. ანტაშენკო, მოლდავეთის სსრ დუბოსარისა — დ. ი. ივაშჩუკი, უზბეკეთის სსრ კურგანტეპესი — კუჩკარ ავაზმატოვი გვიამბობენ, რომ თავიანთი საქმიანობის პირველი დღეებიდანვე რაიონულმა პარტიულმა მუშაკებმა წესად შემოიღეს: ჩახვედი კოლმეურნეობაში თუ საბჭოთა მეურნეობაში — გაერკვიე, როგორ მუშაობენ კომუნისტები, ეხმარებიან ადამიანებს, ეხმარებიან ხალხი, ეხმარებიან ადგილობრივ ორგანოებს, ეხმარებიან ადგილობრივ ორგანიზაციებს, ეხმარებიან ადამიანებს, ეხმარებიან ადამიანებს.

ᲡᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ

ᲛᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ განიხილეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ელექტროენერგიის ეკონომიისა და სიმძლავრის კოეფიციენტის გადიდებისათვის 1964 წლის მეოთხე კვარტალში.

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს ამიერკავკასიის რეგიონის, კოლექტივი, რომელმაც კვარტალში დაზოგა 10.631 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. რეგიონის კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. მეორე პრემია მიენიჭა კავთისხევის კარიერის სამმართველოს, მესამე პრემია მიიღეს თბილისის ორთქლმავალ-ეგზონშემკეთებელი ქარხნისა და თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივებმა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და სახალხო მეურნეობის საბჭომ აღნიშნეს, რომ ელექტროენერგიის ეკონომიისა და სიმძლავრის კოეფიციენტის გადიდებაში კარგად იმუშავეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ფოთის სავაჭრო ნავსადგურის, ბაკურიანის ბინის ქარხნის, თბილისის კერამიკული კომბინატის, თბილისის № 3 ლუდის ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ამასთან ელექტროენერგიის გადახარჯვა აქვთ თბილისის „გაზაპარატისა" და ფოლად-თუჯსამსახველო ქარხნების, მეტალის საწნეხ მასალების კომბინატის, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივებს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოებისა და ტრესტების ხელმძღვანელებს დაეკალათ შეისწავლონ ელექტროენერგიის გადახარჯვის მიზეზები სამრეწველო საწარმოებში და გაატარონ ბრძოლა ამ დარგში. (საქდესი).

ᲒᲔᲒᲛᲐ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ

ᲒᲐᲜᲘᲐᲛᲐᲙᲘᲪᲝᲗ მოპოვებული წარმატება, სახელოვნად დავამთავროთ შეიდწლედის უკანასკნელი წელი — ასეთი დევიზით დაიწყო შრომა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა. მან იანვარში საწარმოო დავალება ადრე, ადრე გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 155 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. შრომის ნაყოფიერების ზრდამ იანვარში გეგმით გათვალისწინებულს 6,2 პროცენტით გადაჭარბა. დაზოგილია ოთხი ტონა ბამბა, რომლისგანაც მიიღებენ 3.800 კილოგრამ ძაფს, ეს კი წარმოებას საშუალებას მისცემს გეგმის გადამეტებით გამოუშვას 484 ათასი ცალი ბამბის მაისურა.

მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა ინიციატივის საპასუხოდ კომბინატელები იბრძვიან პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. შედეგიც საუკეთესოა. სტრიეოტაჟო ფაბრიკაში იანვარში გამომავლების პირველი ხარისხის პროდუქცია 4,2 პროცენტით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

საამქროებისა და ბრიგადებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის აღსანიშნავად. დაწინაურდა საფთილე საამქრო, რომელსაც გ. გელეხიძე უძღვება. ამ საამქროს კოლექტივმა იანვარში დაგალება 118,5 პროცენტით შეასრულა და პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 6,3 პროცენტით გაზარდა. ბრიგადებს შორის თავი ისახელა საგამომპრელო უბნის ს. მუქელიშვილის ბრიგადამ, რომელმაც იანვარში საწარმოო დავალება 123,8 პროცენტით შეასრულა და პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დაგალება 5 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა საბჭოს „საქმინხელეწყლების" ტრესტმა გურჯაანში მოაწყო ხილეულის წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით.

ახალი ქარხანა წელს 100 ათას ბოთლზე მეტ ლიმონათს გამოუშვებს.

ს. ᲨᲐᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის საამქროებმა ფართოდ ჩაღდება წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრება. დაწინაურდა მარტენის საამქროს XXII პარტყრილობის სახელობის № 1 ღუმელის მომსახურე კოლექტივი. მან იანვრის სურამოო დავალება ორი დღით ადრე შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი მიაცა.

კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული თვის დავალება შემეკეთებელ-სამშენებლო საამქროს კოლექტივმაც.

მაღალ წარმატებებს მოპოვებაში განსაკუთრებით გამოერჩევიან კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ცნობილი მეფოლადეები ა. ფანტულაია, ი. ტაბატაძე, გ. ბერეკაშვილი და ზ. ყაველაშვილი ხელმძღვანელობენ.

ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲖᲐᲛᲧᲕᲐᲜᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ იყო გასული წელი „თბილგვირაბმშენის" კოლექტივისათვის. მან სამშენებლო-სამონტაჟო წლიური გეგმა ვადამდე 14 დეკემბერს გადაჭარბებით შეასრულა. შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაზარდეს 4 პროცენტით, ხოლო თვითღირებულების გეგმა შეიოთხე კვარტალში შეამცირეს 5,6 პროცენტით.

პირველ და მესამე კვარტალში სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებების საფუძველზე გვირაბმშენებლები დაჯილდოებულ იქნენ სსრკ სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტმა და რკინიგზის მუშათა პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტმა მეოთხე კვარტალის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის მათ მერე ფულადი პრემია მიაკუთვნეს.

ამ ჯილდოს სამასუხოდ თბილისელმა გვირაბმშენებლებმა, რომლებიც წინასაარჩევნო შრომითს ვახტზე დგანან, გადაწყვიტეს თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობა დაამთავრონ წელს მეოთხე კვარტალისათვის.

Გ. ᲡᲘᲡᲐᲣᲠᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ კალინინის რაიონის № 21 საარჩევნო უბნის აგიტატორი ნ. გაფრინდაშვილი (სურათზე მარჯვნივ) არჩევნებისადმი მიძღვნილ კედლის გაზეთს აკრავს რუსთაველის პროსპექტის № 46 სახლში. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

1965 21 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲔᲠᲗᲘ თვეზე ცოტა მეტი დარჩა, და ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად მისცემენ ხმას მოწინავე მუშებს, კოლმეურნეებს, პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ მუშაკებს, საბჭოთა არმიის მეომრებს, მეცნიერებს, ლიტერატურის, ხელოვნების წარმომადგენლებს — რჩეულთა შორის რჩეულებს ადგილობრივი საბჭოების პარლამენტებში. ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყო წინასაარჩევნო კრებები, რომლებზეც ასახელებენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს.

ᲒᲣᲨᲘᲜ რუსთავის საწარმო-დაწესებულებებში გაიმართა წინასაარჩევნო კრებები, რომლებზეც საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს წარმოების მოწინავე ადამიანები. მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვა ითხოვა სამსმელი განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თ. პარფიონოვმა. მან დეპუტატის კანდიდატად დაასახელა ცნობილი ქართველი მეფოლადე კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **მ. სპანდარაშვილი.** ამ კანდიდატურას ყველა ამომრჩეველმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

როგორც კრებაზე აღინიშნა, მ. სპანდარაშვილი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ყველაზე ადრე შეასრულა შვიდწლედის მე-6 წლის საწარმოო დავალება. მისი ყოველი მეორე ნადნობი ჩქაროსნულია. ამავე კრებაზე საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს აგრეთვე მეფოლადე **გ. სიგუა,** ამწის მეთანქანე **გ. კვირიკაშვილი,** უფროსი მეარხე **გ. წიკლაური,** პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **თ. მენთეშაშვილი** და სხვები. საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები წამოაყენეს აგრეთვე ქიმიურ კომბინატში, სინთეზური ბოკოს, ცემენტის ქარხანაში და სხვა საწარმო-დაწესებულებებში.



ᲓᲔᲙᲐᲔᲛᲐᲗᲐ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ

Ს Ს Რ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ბირმის კავშირის რევოლუციური საბჭოსა და რევოლუციური მთავრობის თავმჯდომარეს გენერალ ნე ვინს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მიულოცეს მას, ბირმის კავშირის რევოლუციურ საბჭოს, მთავრობასა და ხალხს ბირმის დამოუკიდებლობის მე-17 წლისთავი და გამოთქვეს იმედი, რომ საბჭოთა კავშირისა და ბირმის მეგობრობა და თანამშრომლობა განვითარდება და გაფართოვდება საბჭოთა და ბირმელი ხალხების საკეთილდღეოდ, მსოფლიო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ბირმის კავშირის რევოლუციური საბჭოსა და რევოლუციური მთავრობის თავმჯდომარემ გენერალმა ნე ვინმა ა. ი. მიქოიანსა და ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნა საპასუხო დეპეშები, რომლებშიც გულწრფელ მადლობას გამოთქვამს მილოცვისათვის.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ

ᲑᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡᲬᲚᲝᲑᲐ, პლასტიკურობა, ბრწყინვალე ოსტატობა — ასე შეგვიძლია დავახასიათოთ ევროპის საუკეთესო ფიგურისტთა გამოსვლები სპორტის სასახლის ყინულზე 16 თებერვალს. ტრიბუნებზე იყო ათასობით მაყურებელი, რომლებმაც დიდი, ჭეშმარიტი სიამოვნება განიცადეს. ახლახან დამთავრებული ევროპის ჩემპიონატის მონაწილეებმა აჩვენეს მთელი შადრევანი რთული ფიგურებისა, მალალი ტექნიკა. საჩვენებელი გამოსვლები საუცხოო ფინალი იყო ჩემპიონატისა, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის 14 ქვეყნის წარმომადგენელნი — ყინულზე ციგურაობის შესანიშნავი ოსტატები.

მოსკოველები, რომლებიც ფიგურული ციკურაობის დიდი დამფასებლები არიან, მხურვალედ უკრავდნენ ტაშს ყველა გამოსულს. მაყურებლები მოხიბლეს. ავსტრიელებმა რ. კიტტერმა და ე. დანცერმა — ინდივიდუალურ ციგურაობაში გამარჯვებულებმა, საუკეთესო მოცეკვეებმა ჩეხოსლოვაკელმა ე. რომანოვამ და პ. რომანოვმა, შესანიშნავმა საბჭოთა სპორტსმენებმა ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა.

მაყურებელთა გული მოინადირეს ფრანგმა ნ. ასლერმა, რომელმაც თავისი პროგრამა შესასრულა პოპულარული საბჭოთა სიმღერის ურალური „რიაბინუშკის" მელოდიით. ახალგაზრდული სითამამით აღსავსე გ. ზაიფერტმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ინგლისელთა წყვილმა დ. სოუბრიჯ — დ. ჰიკინბოტმა, შვეიცარიელებმა გ. და რ. იონერებმა და ჩემპიონატის ბევრმა სხვა მონაწილემ. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ჩემპიონატის ევროსლის პრეზიორის ფრანგი სტუდენტის ა. კალმას თავბრუდამხვევმა ხტომამ.

ახალგაზრდობისა და სილამაზის ბრწყინვალე დღესასწაულმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო იმათზე, ვინც დარბაზში იყო, არამედ აგრეთვე მილიონობით ადამიანზე, რომლებმაც ტელევიზიით ნახეს ფიგურისტთა გამოსვლები.

სპორტის სასახლეში მრავალ მაყურებელთა შორის იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი.

ჩემპიონატის მონაწილეებმა გაითვალისწინეს ფიგურული ციგურაობის მოყვარულთა უდიდესი ინტერესი და დათანხმდნენ 17 თებერვალს ერთხელ კიდევ უჩვენონ თავიანთი ოსტატობა მოსკოვის ყინულზე. (საკდესი).

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 17 წლისთავის გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეებმა გაცვალეს მისასალმებელი დეპეშები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიქოიანისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის დეპეშაში, რომელიც გაუგზავნეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს იანოშ კადარსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს იშტვან დობის, გამოთქმულია სურვილი, რომ მომმე უნგრელმა ხალხმა ახალი წარმატებანი მოიპოვოს შემოქმედებითს შრომაში მშვიდობისა და კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

ამხანაგები იანოშ კადარი და იშტვან დობი დეპეშაში, რომელიც ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ი. მიქოიანსა და ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნეს, შემდგომ წარმატებებს უსურვებენ საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობაში, დაუცხრომელ საქმიანობაში სოციალისტური ქვეყნების ერთობის განმტკიცებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის.

(საკდესი).

ᲜᲔᲘᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტისაგან

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ 1965 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულია შემდეგი ნაშრომები:

მეცნიერების დარგში

1. ვ. ი. არნოლდი, ა. ნ. კოლმოგოროვი „**ციკლი ნაშრომებისა კამილტონის სისტემათა მდგრადობის პრობლემის შესახებ**“.

წარმოადგენს მოსკოვის მათემატიკოსთა საზოგადოებამ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტმა.

2. ბ. ვ. ვოიცეხოვსკი, ვ. ვ. მიტროფანოვი, რ. ი. სოლოუხინი, მ. ე. თოფჩიანი, ი. კ. ტროშინი „**აირთა დეტონაციის გამოკვლევა**“.

წარმოადგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ჰიდროდინამიკის ინსტიტუტმა.

3. ი. ა. მიტროპოლსკი „**ციკლი ნაშრომებისა არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა თეორიისა და არაწრფივ რხევათა თეორიის შესახებ**“.

წარმოადგენს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა.

4. ი. ი. პიატეცკი-შაპირო „**კომპლექსური ერთგვაროვანი არეების გეომეტრია და ავტომორფულ ფუნქციათა თეორია**“.

წარმოადგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტმა.

5. ს. ვ. იაბლონსკი, ო. ბ. ლუპანოვი, ი. ი. ფურავლიოვი „**ციკლი ნაშრომებისა მათემატიკური კიბერნეტიკის დისკრეტული ანალიზის**“ შესახებ, გამოქვეყნებული 1958-1963 წლებში.

წარმოადგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტმა.

6. ა. ნ. ბაშკაროვი, ი. კ. გეტმანსკი, ვ. ვ. კამზოლინი, ე. დ. **კაშრეევი „უმაღლესი ციმოვანი სპირტების, ზედაპირულ-აქტიური ნივთიერებებისა და მათ საფუძველზე სარეცხ საშუალებათა წარმოების მეცნიერული საფუძვლებისა და ახალი ტექნოლოგიის შემუშავების**“.

წარმოადგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ვ. თოფჩიევის სახელობის ნავთობქიმიური სინთეზის ინსტიტუტმა.

7. დ. მ. რაუზერ-ჩერნოუსოვა „**ფორაგინიფერათა განვითარების საფუძველზე ზედა პალეოზოური სტრატიგრაფიის დეტალიზაციის მეთოდიკის მეცნიერული დასაბუთება და შემუშავება**“ (ნაშრომთა ციკლი).

წარმოადგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტმა.

8. ნ. ა. ვანიაევი, დ. ე. გერშანოვიჩი, გ. ვ. ეიგალოვი, ა. გ. კაგანოვსკი, ა. ა. კარპენკო, ვ. ი. კრუპენია, ტ. გ. ლიუბიმოვა, პ. ა. მოისეევი, ვ. ვ. ნატანეროვი, ნ. პ. ნოვიკოვი, ბ. ა. რიაზანოვი, ვ. ბ. **ფატიმოვი „შედგენები წყნარი ოკეანის ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის — საბჭოთა კავშირის ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბერინგის ზღვის სამეცნიერო-სარეწო ექსპედიციის გამოკვლევისა წყნარი ოკეანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რაც 1958-1963 წლებში განხორციელდა, და ამ გამოკვლევის დანერგვა სასალო მეურნეობაში**“.

წარმოადგენს შორეული აღმოსავლეთის აუზის თევზის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ, წყნარი ოკეანის ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და საბჭოთა კავშირის ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

9. ლ. ა. ზენკევიჩი „**სსრ კავშირის ზღვების ბიოლოგია**“.

წარმოადგენს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტმა.

10. ე. ნ. პავლოვსკი „**ტრანსმისიული დაავადებათა ბუნებრივი კერა ზოოანთროპონოზთა ლანდშაფტურ ეპიდემიოლოგიასთან დაკავშირებით**“.

წარმოადგენს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტმა და ს. მ. კიროვის სახელობის სამხედრო-სამედიცინო აკადემიამ.

11. ნ. ნ. ვორონინი „**ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის XII-XV საუკუნეების ხუროთმოძღვრება**“, ტომი 1-2.

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტმა.

12. ვ. მ. ჟირმუნსკი „**გერმანული ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შესავალი**“, „**გერმანული დიალექტოლოგია**“, „**გერმანული ენის ისტორია**“.

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებამ.

13. ლ. ვ. კანტოროვიჩი, ვ. ს. ნემჩინოვი, ვ. ვ. ნოვოჟილოვი „**სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ავტომატთა გადაწყვეტის მათემატიკური მეთოდების შემუშავება**“.

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტმა.

14. დ. ი. ჩესნოკოვი „**ისტორიული მატერიალიზმი**“.

წარმოადგინა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტმა.

15. ა. გ. კორნეევი „**ძველ-სასხლის ტუბერკულოზის კირურგია**“.

წარმოადგინეს ლენინგრადის ქირურგიული ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, კუიბიშევის ქირურგთა საოლქო საზოგადოებამ და კუიბიშევის ფთიზიატრთა საოლქო საზოგადოებამ.

16. ა. ი. პიტელი, ს. დ. გოლიგორსკი „**თირკმლის მეწყლის რეფლექსები და მათი კლინიკური მნიშვნელობა**“, „**პიელონეფრიტი**“, „**თირკმლის მწვავე ნაკლოვანება**“, „**ხელოვნური თირკმელი და მისი კლინიკური გამოყენება**“.

წარმოადგინეს მოსკოვის ნ. ი. პიროგოვის სახელობის მეორე სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა და უკრაინის ეროლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოების გამგეობამ.

17. ვ. ი. ივანოსი „**ფოლადის წარმოების პროცესთა თეორია**“.

წარმოადგინეს შავი მეტალურგიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ და მოსკოვის ფოლადისა და შენადნობთა ინსტიტუტმა.

ტექნიკის დარგში

1. ვ. ი. ანდრეევი, გ. ი. ბოგორადოვსკი, ა. ა. ბურდინი, ნ. ი. დუბინინი, ა. ა. კრისანოვი, ლ. ა. კუზნეცოვი, ვ. ფ. რისი, ვ. ს. შურუპოვი „**მაბინტრალურ-გაზსადენების საკომპრესორო სადგურებისათვის 280-12 საბრძნებიანი ბტ-700-5 გაზტურბინის აგრეგატის კონსტრუქციის შემუშავება, სერიული წარმოების ათვისება და სასალო მეურნეობაში დანერგვა**“.

წარმოადგინეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და ლენინგრადის ეკონომიური რაიონის სასალო მეურნეობის საბჭომ.

2. ბ. გ. ბარანოვსკი, ა. გ. ვედენოვი, ა. დ. გორიაჩევი, ა. ა. კარაბჩევსკი, ვ. გ. რეცი, ვ. ხ. ფოფანი, გ. მ. იოფეტი, ა. ტ. ციბულსკი, ა. ი. ძუტკევიჩი „**ახალი აუთარ ფნევის ხეხვის ბოლოდროინდელ სამსხმელო მიწის ფორმების მოსამზადებელი საწნეხი დანადგარებისა და საწნეხი ავტომატური ხაზების კომპლექსის შემუშავება, შექმნა და წარმოებაში დანერგვა**“.

წარმოადგენა ლენინგრადის ეკონომიური რაიონის სასალო მეურნეობის საბჭომ.

3. ა. პ. ვლადიმეროვი, ა. ლ. ლიეშიცი, ა. ტ. კრავეცი, პ. გ. ტიტკოვი, ს. ს. პოდლაზოვი, ვ. ნ. სოლოგუბი, ი. ს. როგანოვი, გ. გ. ბრუსკო, ი. ა. მასლოვი, ვ. ა. ბოგდანოვი, ს. ი. კომინარი „**რთული სიზრმისა და სპეციალური ბრუნვადნობების ხაკეთოებათა დამუშავების ელექტროიმპულსური წესის შემუშავება, მოწყობილობის შექმნა, მისი სერიული წარმოების ორგანიზაცია, ამ წესის დანერგვა მრეწველობაში**“.

წარმოადგინეს მოსკოვის საქალაქო ეკონომიური რაიონის სასალო მეურნეობის საბჭომ, ლითონსაჭრელი ჩარხებიის ექსპერიმენტულმა საძეკიეიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, ხარკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის გვიანკეთრებულმა საკონსტრუქტორო ბიურომ, ლენინგრადის ძანქანათსაძენებლო მრეწველობის საოლქო საძეკნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ.

4. ნ. ფ. კაზაკოვი „**ლითონისა და არალითონური მასალების ვაკუუმში დიფუზიური შედუღების წესის, ტექნოლოგიისა და მოწყობილობის დამუშავება**“.

წარმოადგინეს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, მოსკოვის საქალაქო ეკონომიური რაიონის სასალო მეურნეობის საბჭომ, სსრ კავშირის ელექტროხელოვნური ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ.

5. შ. ი. კერესელიძე, ტ. ა. ჭეიშვილი, დ. ს. ნასარიძე, გ. კ. ედიბერიძე, გ. ო. ოგანეზოვი, ნ. ა. კოსტავა, შ. ე. დარჯანია „**ჩაის საკრებში მანქანა „საქართველოს“ შექმნა და წარმოებაში დანერგვა ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფის პროცესის მექანიზაციისათვის**“.

წარმოადგინეს საქართველოს სსრ სასალო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საკსოფლტექნიკამ“ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

6. ა. მ. ლიასი, პ. ა. ბორსუკი, ი. ა. ონუფრიევი, გ. ი. კლიოცკინი, ნ. დ. ეგორკინა, ე. ტ. დოლბენკო, ა. გ. ნეპომნიაშჩი, პ. ვ. ჩერნოგოროვი, ბ. ა. ნოსკოვი „**თხევადი თვითთაბრეგადი ნარევებისაგან ღერძოებისა და ფორმების დამზადების სამსხმელო წარმოების პრინციპულად ახალი მაღალეფექტიანი ტექნოლოგიის შემუშავება და მრეწველობაში დანერგვა**“.

წარმოადგინეს ტექნოლოგიისა და მანქანათმშენებლობის ცენტრალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, უკრაინის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, მოსკოვის საქალაქო ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა მძიმე ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა.

7. გ. გ. ბოროძიუ�sა, ა. ს. ბლოხინი, ო. ფ. კოსმინსკი, ს. ს. კოგანი, ი. ა. მოროზი, ნ. მ. დრიაცკი, ა. ა. ლეშინსკი, ი. ა. შჩეგლინი, ი. ს. მილეევსკი, ნ. ე. ლუგოვსკოი, ა. გ. მერკულოვი, ნ. გ. ტურკინი „**თანაღრაცული კაბელით (კ-1920) მრავალარხიანი კავშირისა და საკალაკთაშორისო სატელეფონიო გადაცემის მოწყობილობის კომპლექსის შემუშავება**“.

წარმოადგინეს სსრ კავშირის რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ.

8. ვ. ი. იგრეესკი, დ. ი. მიხაილოვი, ვ. ი. მიშჩენკი, კ. შ. ნაზიპოვი, ტ. ფ. რუსლანმეკოვი, ვ. დ. შაშინი, ე. ი. შვეცოვი „**საბჭოულ საბუშაოთა ორგანიზაციის მაღალი წარმადობის ტექნიკის, ტექნოლოგიის შემუშავება და ძირეული სრულყოფა, რამაც უზრუნველეყო 1952-63 წლებში დიდი მოცულობის გურდა თათრეთის აუს რესპუბლიკაში მაღალი ეკონომიური მაჩვენებლებით**“.

წარმოადგინეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ნავთობმომპოვებელი მოეწყველობის სახელმწიფო კომიტეტმა და სსკპ თათრეთის საოლქო კომიტეტმა.

9. მ. ი. ხარიტონოვი, ნ. ი. აბრამოვი, ბ. ფ. ერიოშინი, ვ. პ. ივანოვი, ი. შ. კოგანი, ნ. ს. კულეში, ა. კულმანოვი, ს. ხ. მალკინი, ა. ფ. ივანენი, ი. ვ. ტარაანოვი, ა. ფ. ტრუნილოვი, ნ. ს. შვეცი „**ორიზონტალური სამთო გვირაბების ჩქარმავალი გაყვანის ახალი მეთოდების შემუშავება და დანერგვა**“.

წარმოადგინეს საბჭოთა ყაზახეთის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ და ყაზახეთის ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა.

10. ა. ს. ვავილინი, ტ. ი. ოლხოვიჩი, ი. გ. პუსტოვოი, ზ. ო. ენიაეფსკი, პ. ნ. კალინუშენკი, ვ. პ. მარკოვი, კ. მ. კოლესნიკი, რ. ი. ლაშკევიჩი, ს. ლ. მანდელბერგი, გ. პ. სემიონოვი, ბ. პ. სკოროუპსკი „**დიდი დიამეტრის მილების წარმოების ტექნოლოგიის, მოწყობილობის შექმნა და ათვისება ჩილსაგლინკის მილსაგლინავ ქარხანაში. შემდეგ კი წარმადობის გადიდება ერთიორად და მეტად და 1020 მილიმეტრი დიამეტრის მილების გამოშვების ორგანიზაცია ზემძლავრი გაზნაკეთობსადენებისა და დიდი ქიმიის მეწველგაბათათვის**“.

წარმოადგინეს სამხრეთ ურალის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა შავი და ფერადი მეტალურგიის სახელმწიფო კომიტეტმა.

11. ა. ნ. მიასოედოვი, ს. პ. კორეტბანოვი, ვ. ნ. გრუშევსკი, გ. ნ. სვეშნიკოვი, ა. დ. პოპოვი, გ. ს. არხიპოვი, ი. ნ. ტიხომიროვი, ბ. დ. ხახალინი, ა. მ. გორა, ვ. ა. კარპეკა, ა. ს. კაუშანსკი „**თუჯის წყალსადენი მილების ნახევრადფუძვადი ჩამოსასხმის ტექნოლოგიის შემუშავება და სამრეწველო დანერგვა**“.

წარმოადგინეს შუა ურალის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ, ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ და საბჭოთა კავშირის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევმა და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა.

12. ვ. ი. პოზნიაკოვი, ნ. ფ. ბორისოვი, ვ. ბ. ეილკინი, მ. ი. ზახაროვი, მ. პ. იგოლკინი, ა. ს. კრილოვი, ვ. ბ. ლეშენკ. ი. ა. პოპოვი, ი. დ. რაჩინსკი, გ. ტ. რიაბკო, ვ. ს. ტარასოვი „**სულფიდის მადნებისაგან ნიკელისა და კობალტის წარმოების ტექნოლოგიის პროცესების ინტენსიფიკაცია და ტექნოლოგიის სრულყოფა**“.

წარმოადგინა მურმანსკის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

13. მ. მ. პრიგალოვი, გ. ი. ბარიშნიკოვი, ი. პ. ბასიასი, ვ. ფ. კრეტინინოვი, პ. პ. სემენენკო, ი. ა. შირნინი, ს. ნ. კონდრატიევი, ე. ი. შეცოვი „**ფვედის ფორმირების ახალი ტექნოლოგიის დამუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მარტენის ღუმელების წარმადობის მკვეთრ გადიდებას.**

წარმოადგინეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა შავი და ფერადი მეტალურგიის სახელმწიფო კომიტეტმა და შუა ურალის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

14. ვ. პ. ადოვსკი, ბ. ვ. გორენშტეინი, კ. ა. გლუხოვსკოი, მ. გ. კოსტიუკოვსკი, ლ. გ. ლევინსკი, ა. დ. ლიბერმანი, ნ. დ. ლობანოვი, გ. ვ. სვეშნიკოვი, გ. მ. შაგალი „**ბარსების ტიპის რაციონალური ასანყოგ რკინაბეტონის საფართა დამუშავება, კვლევა და აგება**“.

წარმოადგინეს სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტმა, კრასნოიარსკის სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების სამხარეო გამგეობამ, „გლავკრასნოიარსკსტროიმ“, უკრაინის სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ, ლენინგრადის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ და რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს „გლავნიპსტროიმ“.

15. ბ. ვ. ბელიანინი, მ. ა. ბელი, ა. მ. ვეკსმანი, ნ. მ. ივანოვი, ა. ნ. კომაროვსკი, ა. ს. მიხაილოვი, ი. ნ. [illegible] „**ალაბის შექმნა ციმბირში [illegible]**“.

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმმა.

16. ი. ვ. ბოლტენკოვი, კ. იომუდსკი, ა. ტ. მოროზოვი, კ. ფ. ეფერმოვი, ვ. ს. მიშენკო, ს. კ. კალიფნიუკი, ვ. ტ. ზახარჩენკო, კ. ე. წერეთელი, ნ. პ. ვლასოვი, ა. გელდიევი, ვ. ი. კურილოვი, ა. ჩორლიევი „**ეარაუშის არხის აგება თურქმენეთის სს რესპუბლიკაში**“.

წარმოადგინა თურქმენეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა.

17. ს. მ. ვერიეფნიკოვი, ვ. ი. ისაევი, ა. ა. სიზოვი, ე. გ. სტრუალკოვსკი, კ. ვ. ტრუხელი, ს. ლ. ხოტიანოვი, დ. ს. გოლდგორი, ნ. ი. დიუბოვი, ა. ვ. ეუკი, ზ. ვ. კალეფნოვი „**საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ძირეული გაუმჯობესება ლენინგრადში**“.

წარმოადგინა ქალაქ ლენინგრადის საბინაო, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის მთავარმა სამმართველომ.

18. ვ. ს. ეფერევი, ა. ე. ბერი, ი. ი. ონოვი, ვ. ს. კუბასოვი, მ. ს. ნიკიტინი, ფ. ა. ნოვიკოვი, ბ. ვ. პალუი, ი. ა. პოკროვსკი, ძ. ნ. ხაუკაინი „**პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის შექმნა ლენინის გორაზე**“.

წარმოადგინეს მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რუსეთის სფსრ განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირმა, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ და „მოსპროექტ-2“-მა.

19. ა. ტ. პოლიანსკი, დ. ს. ვიტუხინი, ი. ვ. რაკევიჩი „**არტეკის ენ. ი. ლენინის სახელობის საერთაშორისო პიონერთა განაკის „სანაპირო“ არქიტექტურა. საბაკურნალო-გამაჯანსაღებელ ნაგებობათა მასობრივი შენებლობის პროგრესული არქიტექტურულ-გეგმური და ასაწყობ-ინდუსტრიული მეთოდების შემუშავება და დანერგვა**“.

წარმოადგინეს სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობამ, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობამ, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა.

20. ა. ლ. მაზლუმოვი, ნ. ა. სავჩენკო „**შავრის ზარხლის მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ჯიგრიდების შექმნა და მათი დანერგვა წარმოებაში**“.

წარმოადგინა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ.

21. ა. ვ. ხუროძე, შ. ლ. დარჩია, კ. მ. ჭემუხაძე, ბ. ნ. ჯობაძე, ა. გ. კალანდაძე, ლ. ე. ქირია, პ. დ. კუპრაძე, დ. გ. შეკვანაძე „**მწვანე და შავი ჩაის კომბინირებული წარმოების ახალი მეთოდის შექმნა და დანერგვა საქართველოს სს რესპუბლიკის ფაბრიკებში**“.

წარმოადგინეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით საშუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტმა.

22. ს. ვ. ანიჩკოვი, ვ. ვ. ზაკუსოვი, მ. დ. მაშკოვსკი, მ. ვ. რუბაცოვი, ა. პ. სკოლდინოვი, ნ. ვ. ხრომოვ-ბორისოვი „**გამოკვლევები ნერვული სისტემის ფარმაკოლოგიაში. ახალ ნეიროტროპულ საკურნალო საშუალებათა შექმნა, მათი მოქმედების მექანიზმის შესწავლა და დანერგვა სამედიცინო პრაქტიკაში**“.

წარმოადგინეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოლოგიისა და ქიმიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

23. ს. ს. ბრიუხონენკო, ა. პ. კოლესნოვი, გ. მ. სოლოვიოვი „**ხელმძღვანი სისხლის მიმოქცევის შემუშავება და ღია გულის ოპერაციის დანერგვა ფართო პრაქტიკაში**“.

წარმოადგინეს რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის [illegible] გულის სისხლძარღვების ქირურგიის ინსტიტუტმა და უკრაინის აკადემიკოს თ. გ. იანოვსკის სახელობის ტუბერკულოზისა და გულმკერდის ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

* * *

აქვეყნებს რა 1965 წლის ლენინური პრემიებს მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულ ნაშრომთა სიას, კომიტეტი მიმართავს საბჭოთა საზოგადოებრიობას და სთხოვს აუწყოს თავისი აზრი როგორც ამ ნაშრომთა შინაარსის შესახებ, ისევე განსაზღვრულად რეკომენდებულ ავტორთა კოლექტივების შემადგენლობის შესახებ.

კომიტეტი მიმართავს ავრეთვე სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა, სამეცნიერო დაწესებულებათა, საწარმოთა და უმაღლეს საწყვეტებლთა ხელმძღვანელებს და სთხოვს მოაწყონ აღნიშნულ ნაშრომთა და თვითეული ავტორის შემოქმედებითი მოღვაწეობის ფართო საზოგადოებრივი განხილვა.

საკონკურსოდ წარმოდგენილი ყველა ნაშრომი გამოფენილი იქნება გასაცნობად სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო საბიბლიოთეკაში (მოსკოვი, კუზნეცკის ხიდი, 12).

კომიტეტი გთხოვთ გამოგზავნოთ გამოხმაურებანი და შენიშვნები, საზოგადოებრივი განხილვის მასალები ნაშრომების და მათ ავტორთა კოლექტივების შემადგენლობის შესახებ ამა წლის 25 მარტამდე შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ი-51, ნეგლინნაია ქუჩა, სახლი № 29/14.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტისაგან

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ ყველა ნაშრომიდან, რომლებიც წარმოდგენილი იყო 1965 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად, კომიტეტის სექციებისა და პლენუმის მიერ მათი განხილვის შემდეგ შერჩეულია კონკურსში შემდგომი მონაწილეობისათვის შემდეგი კანდიდატურები:

ჟურნალისტიკისა და კუგლიცისტიკის დარგში

1. ს. ს. სმირნოვი წიგნი „**ბრესტის ციხე-სიმაგრე**“.

წარმოადგინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირმა, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ, გამომცემლობა „დეტსკაია ლიტერატურამ“, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“, ჟურნალ „ნოვი მირის“ სარედაქციო კოლეგიამ, ჟურნალ „მოლოდაია გვარდიის“ სარედაქციო კოლეგიამ, ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ, ბელორუსიის სსრ ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ, ბრესტის ციხე-სიმაგრის გმირული დაცვის მუზეუმის კოლექტივმა, გაზეთ „რადიანსკა დონეზიანის“ რედაქციის კოლექტივმა.

ლიტერატურის დარგში

1. მ. ნ. ალექსეევი მოთხრობა „**პური არსებითი სახელია**“,

წარმოადგინა ჟურნალ „ზვეზდის“ სარედაქციო კოლეგიამ.

2. ი. ლ. ანდრონიკოვი წიგნი „**ლერმონტოვი**“. გამოკვლევები და ნაბოვნები.

წარმოადგინა გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ“.

3. ს. ს. ბალიანი მოთხრობა „**ირტიშზე**“.

წარმოადგინეს ჟურნალ „ნოვი მირის“ სარედაქციო კოლეგიამ, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის ნოვოსიბირსკის განყოფილებამ.

4. ს. ბ. კაპუტკიანი ლექსების წიგნი „**ფიქრი შუა გზაზე**“

წარმოადგინა სომხეთის მწერალთა კავშირმა.

5. ქარიმ მუსტაი ლექსების წიგნი „**მდინარეები ლაპარაკობენ**“.

წარმოადგინეს რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირმა, ბაშკირეთის ასსრ მწერალთა კავშირმა.

6. ა. ა. კულეშოვი ლექსების წიგნი „**ახალი წიგნი**“.

წარმოადგინეს ბელორუსიის მწერალთა კავშირმა, ჟურნალ „ნოვი მირის“ სარედაქციო კოლეგიამ.

7. კ. შ. უულიევი ლექსების წიგნი „**დაბრილი ქვა**“, „**მთის პოემა ლენინზე**“.

წარმოადგინეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირმა, ყაბარდო-მალყარეთის ასს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის საერთო კრებამ, ჟურნალ „ელბრუსის“ და ალმანახ „დრუჟბის“ სარედაქციო კოლეგიებმ; დაღესტნის მწერალთა კავშირმა, გაზეთ „კაბარდინო-ბალყარსკაია პრავდის“ სარედაქციო კოლეგიამ, გაზეთ „ლენინსკი პუტის“ სარედაქციო კოლეგიამ, გაზეთ „კომუნიზმის ალაროს“ სარედაქციო კოლეგიამ, სრულიად საკავშირო ალკა ყაბარდო-მალყარეთის საოლქო კომიტეტმა და გაზეთ „სოვეტსკაია მოლოდიოჟის“ სარედაქციო კოლეგიამ, ყაბარდო-მალყარეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ.

8. ი. მ. მარცინკევიჩუსი პოემა „**სისხლი და ფეიფლი**“.

წარმოადგინეს ლიტვის მწერალთა კავშირმა, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ სარედაქციო კოლეგიამ.

9. ხ. ვ. მიხალკოვი ლექსებისა და ზღაპრების წიგნები ბავშვებისათვის: „**ვინ და ვინ**“, „**მილიონერი**“, „**ბოგონა და ქია ტოპი**“, „**ლრუბლები**“, „**მხიარული ყურდღლები**“.

წარმოადგინეს რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირმა, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ, პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა.

10. კ. გ. პაუსტოვსკი „**ცხოვრების წიგნი**“.

წარმოადგინეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირმა, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ ლენინგრადის ე. ი. მუხინის სახელობის უმაღლესი სამხედრო-სამრეწველო სასწავლებლის ხელოვნების ისტორიის კათედრამ.

11. მ. ა. სვეტლოვი ლექსების წიგნი „**მონადირის სახლი**“.

წარმოადგინა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ.

12. კ. მ. სიმონოვი რომანი „**ჯარისკაცებად როდი იბადებიან**“.

წარმოადგინეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირმა, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ, რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტრომ, გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო კოლეგიამ, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირმა, გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ“, ჟურნალ „ზნამიას“ სარედაქციო კოლეგიამ, მოსკოვის მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტმა, ომსკის ა. ს. პუშკინის სახელობის საოლქო ბიბლიოთეკამ, როვნოს ოფიცერთა სახლის ბიბლიოთეკის მკითხველთა კონფერენციამ, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მოსკოვის ორგანიზაციის კრიტიკოსთა სექციამ.

13. ი. პ. შამიაკინი რომანი „**გული ხელისგულზე**“.

წარმოადგინეს ბელორუსიის მწერალთა კავშირმა, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ სარედაქციო კოლეგიამ.

მუსიკისა და საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობის დარგში

1. ლ. ბ. კოგანი **საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობა** (1962-1964 წლების პროგრამები).

წარმოადგინეს სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა, რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტრომ, მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიამ.

2. გ. ი. მაიბოროდა ოპერა „**ტარას შევჩენკო**“.

წარმოადგინეს უკრაინის კომპოზიტორთა კავშირმა, უკრაინის სსრ

ყოველი მხრიდან

საბჭოთა წიგნი ბულგარეთში

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოუშვა მეორე ტომი კრებულისა „საბჭოთა ლიტერატურა ბულგარეთში 1918-1944 წლებში“. წიგნი იწყება ტოდორ ივანოვის გამონათქვამით იმის შესახებ, თუ რა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ბულგარეთში რუსულმა კულტურამ და ლიტერატურამ.

კრებულში გამოქვეყნებულია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეების, მწერლების, საბჭოთა წიგნების გამომცემლების — სულ 80 ავტორის მოგონებანი, სტატიები და რეცენზიები, რომლებიც 1918 წლიდან 1944 წლის 9 სექტემბრამდე დაიწერა. კრებულში შევიდა 20-ზე მეტი პარტიული დოკუმენტი, რომლებიც მოწმობენ, თუ რა დიდ საქმიანობას ეწეოდა ბულგარეთის კომპარტია ფაშიზმის პერიოდში საბჭოთა წიგნის გამოსაცემად და გასავრცელებლად. (საკდესი).

საბჭოთა შეკვეთით

ჰელსინკი, 16 თებერვალი. (საკდესი). აქ საკეთო საზოგადოების „ვალმეტის“ გემთსაშენში გაიმართა 3.500 ტონა წყალწყვის ხე-ტყის საშიფი გემის წყალში ჩაშვების ცერემონია. ეს გემი საბჭოთა კავშირისათვის მუშდება.

„ხანდაზმულობის ვადა“ ვერ გავრცელდება

ნიუ-იორკი, 16 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრმა არტურ გოლდბერგმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ჰიტლერელ სამხედრო დანაშაულებზე გავრცელდეს „ხანდაზმულობის ვადა,“ რომლის შესაბამისად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განზრახული აქვთ შეწყვიტონ მათი სასამართლო დევნა.

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი, 17 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის პლენარულ სხდომაზე გენერალური მდივნისა და XIX სესიის თავმჯდომარის რეკომენდაციით უნდა მიეღოთ გადაწყვეტილებანი მთელ რიგ საკითხებზე, სანამ გამოაცხადებდნენ, რომ სესიის მუშაობა ხანგრძლივად შეწყვეტილია. მაგრამ სხდომის დასაწყისში სიტყვა აიღო ალბანეთის წარმომადგენელმა ჰალიმ ბუდომ. მან შეიტანა ოფიციალური წინადადება, რომ ასამბლეამ აირჩიოს გენერალური კომიტეტი და დაამტკიცოს დღის წესრიგი, და მოითხოვა, რომ ეს წინადადება განხილონ პირველ რიგში.

საუდის არაბეთის, ეთიოპიის, კვიპროსის, კამერუნის, გვინეის, ურუგვაის, ლიბერიის, სიერა-ლეონესა და შვეიცის დელეგატებმა შეიტანეს წინადადება შეწყდეს სხდომა ორი დღით. ასამბლეის თავმჯდომარემ კვეისონ-სეკამ დაიმოწმა უფლებები, რომლებსაც ასამბლეის თავმჯდომარეს ანიჭებს საპროცედურო წესების 35-ე პუნქტი, და გამოაცხადა ორი დღის შესვენება.

მშვიდობისაკენ მოუწოდებენ

პარიზი, 16 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის შრომის დემოკრატიულმა კონფედერაციამ მოწოდებით მიმართა ყველა მთავრობას და ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას განურჩევლად ფილოსოფიური, იდეოლოგიური ან რელიგიური რწმენისა, რომ გამოვიდნენ ვიეტნამში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების სასარგებლოდ. ამ პრობლემის გადაწყვეტით, ნათქვამია განცხადებაში, დაინტერესებულია მთელი მსოფლიოს ხალხები.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲗᲐᲜ

ᲐᲮᲐᲚᲘᲡᲓᲐᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲗ

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲐ ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲐ ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲐ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ფოტოსურათი 60 წლისაა

ულიანოვსკი, 16 თებერვალი. (საკ-დესის კორ.). ძველებური ფოტოსურათი რომელზეც გადაღებულია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბდა 60 წლის წინათ გიმნაზიაში, სდგა ილიჩი სწავლობდა, შემმატა ვ. ი. ლენინის სახელობის № 1 საშუალო სკოლის მუზეუმს. ფოტოსურათი გადაღებულია ერთ-ერთ საკლასო ოთახში, სადაც კედელზე მიმაგრებულია თვითნაკეთი პლაკატი: „რსდმპ“.

ფოტოსურათზე აღბეჭდილია გიმნაზიის პირველი პარტიული ორგანიზაციის 19 მონაწილე. ყოფილი გიმნაზიელის ს. ა. პოპოვის მოწმობით, რომელმაც ეს ფოტოსურათი გორკედან გამოგზავნა, პლაკატი იმ დღეს საიდუმლოდ მიუტანია გიმნაზიაში.

1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის დროს გიმნაზიაში რევოლუციური აქტივობის ზრდას მკვლევარები უსაფუძვლოდ როდი უკავშირებენ ვლადიმერ ილიას ძის უმცროსი ძმის — დმიტრი ილიას ძე ულიანოვის სახელს.

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს ა. ლ. კარამეშევს, ავტორს წიგნი-

ულიანოვსკელი ნორჩი ისტორიკოსების იშვიათი ნაპოვნი

სა „სიმბირსკის გიმნაზია ვ. ი. ლენინის სწავლის წლებში“ მიაჩნია, რომ სკოლის ნორჩ ისტორიკოსთა ეს ნაპოვნი მეტად საინტერესოა. ამ ფოტოსურათის საშუალებით შეიძლება ერთმანეთს დაუკავშირონ დრო, როცა გიმნაზიაში სწავლობდნენ ალექსანდრე და ვლადიმერ ულიანოვები, პერიოდი, როცა ამავე სასწავლებელში დაიწყო რევოლუციური სულისკვეთების აღმავლობა. ეს, უეჭველია, დაკავშირებულია რუსეთის სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის სიმბირსკის ორგანიზაციის მუშაობასთან.

ნორჩი ისტორიკოსები განაგრძობენ ძიებას. მათ განზრახული აქვთ ალადგინონ ყველა იმათი გვარი, ვინც გამოსახულია უნიკალურ ფოტოსურათზე, გააფართოონ თანამედროვეთა მოგონებების წრე. ეს დაეხმარება მათ, არა მარტო უფრო ღრმად გაეცნონ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიმბირსკის ორგანიზაციის მუშაობას, არამედ დაადგინონ კიდეც, რომ სიმბირსკში მოსწავლეთა პოლიტიკური გამოსვლებს რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში პირადად ხელმძღვანელობდა ლენინის ძმა — დმიტრი ილიას ძე ულიანოვი.

სოხუმი. (ჩვენი კორ.). სოხუმში ტურისტული სეზონი გაიხსნა. ცენტრალურ ბაზაში უკვე რამდენიმე დღეა ისვენებენ მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი და შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოსული ტურისტები.

მათთვის მოეწყო ექსკურსიები აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეში.

დიდი ინტერესი გამოიწვია პირველმა ტურისტულმა ლაშქრობამ მაღალმთიან ადგილებში — ძეთიბის გამოქვაბულში, ამტყელის ტბაზე და სხვა. ინსტრუქტორმა ი. იობიძემ ტურისტთა ჯგუფი მწვერვალ ჩუმკუზბაზე აიყვანა.

საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება წელს ტურისტული სეზონი სოხუმში.

ახალი ათონი. (საკ. კორ.). თოვა თითქმის ყოველ დამე ემუქრება მწვანედ გადამლილ ახალი ათონის მიდამოებს.

უკვე გადათეთრებულია ცადახიდული მთის კალთებიც კი, მაგრამ ხამთარი ვერა და ვერ მოერია მთასა და ზღვას შუა ვიწრო თვალწარმტაც ზოლს, სადაც ამ კურორტის ჯანმთელობის კერებია განლაგებული.

დილიდან საღამომდე მზის სხივებშია სანატორიუმ „აფხაზეთის“ დასასვენებელი სახლების „წყალარდნილისა“ და „ფსირცხის“ ქათქათა შენობები. მათი კომფორტაბელური პალატები ამ დღეებში სავსეა ხალხით.

ავტორია ჭიათურელი ექიმი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის სანეპიდსადგურის მთავარ ექიმად მუშაობს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გაბუნია. მან ახლახან გამოაქვეყნა ნაშრომი „საქართველოს სამთამადნო და ქვანახშირის მრეწველობაში მიწისქვეშ მომუშავეთა შრომის ჰიგიენის ძირითადი საკითხები“. იგი დაწერილია საქართველოს სამთამადნო და ქვანახშირის შახტებში მუშათა შრომის პირობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის შედეგად. ნაშრომში გამოყენებული და პრაქტიკულად შეფასებულია აგრეთვე სხვა ავტორთა მონაცემები, რომლებიც ეხება საქართველოს აღნიშნულ საწარმოთა მუშათა ავადობის და შრომის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს. აქვე გაშუქებულია სათანადო სამკურნალო-პროფილაქტიკური და სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ორგანიზმზე საწარმოო ფაქტორების მავნე მოქმედების თავიდან აცილებისათვის.

ახალი სკოლა

გულრიფში რაიონის სოფელ ბაბუშარის ახალგაზრდობამ კარგი საჩუქარი მიილეს — დამთავრდა სამსართულიანი საშუალო სკოლის შენობის აგება. სკოლას აქვს მრავალი აკალასო ოთახები, ლაბორატორია, სასპორტო დარბაზი.

შ. ჯალაღონია.

ახალი ცნობები ტროსტოის შესახებ

ლევ ტოლსტოის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივმა დაამთავრა მუშაობა დიდ კრებულზე, რომელიც აშექმნს სინტეზურსა და დიდმნიშვნელოვან თემას: ტოლსტოი — რედაქტორი, მრჩეველი. წიგნში არის გეოგრაფია და დოსტოევსკისთან, დიკენსსა და პიუგოსთან დიდი მწერლის შემოქმედებითი ურთიერთობის ახალი-ფაქტები, აგრეთვე მასალები იმის შესახებ, რომ ტოლსტოი ყოფილა ტურგენევის ნაწარმოებთა რედაქტორი, ასწორებდა ჩეხოვის ნაწარმოებებს... სხვადასხვა ავტორის ასზე მეტ ნაწარმოებს გაუვლია ტოლსტოი-რედაქტორის ხელში.

კრებულში, რომელსაც გამოუშვებს გამომცემლობა „ენიგა“, შესულია ყველაზე საინტერესო მასალები, რომელთა რედაქციაც გაუწევია „ომისა და მშვიდობის“ შემქმნელს: სხვადასხვა ავტორის თორმეტი ნაწარმოები. მკითხველი ნახავს მთელ სწორებას, გაეცნობა შესანიშნავი რედაქტორის შემოქმედებითს ლაბორატორიას, აგრეთვე იმასაც, თუ როგორ სწვდებოდა ტოლსტოი სხვადასხვა მწერალთა სტილსა და მანერას.

ბუნებრივია, განსაკუთრებული პროფესიული ინტერესით წიგნს წაიკითხავენ გამომცემლობების, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები. დიდი მწერალი ასწავლის მათ რედაქტირების ხელოვნების ბევრი საიდუმლოს გამოცნობას. ბევრ სასარგებლოს ნახავენ ლიტერატურათმცოდნეთა ახალ ნაშრომში ყველანი, ვისაც უყვარს ტოლსტოის შემოქმედება, ვისაც უყვარს კარგი წიგნების კითხვა.

(საკდესის კორ.).

სიახლეთა დაგადეგა

□ **ბათუმი.** (საკ. კორ.). ბათუმის სასწრაფო დახმარების სადგურის ხუთ მანქანაზე მოკლეტალღიანი მიმღებ-გადამცემი რადიოსპარატი დაიდგა. რადიოკავშირი ჩაქვის გადასასვლელამდე მოქმედებს. მანქანაში მყოფ სამედიცინო პერსონალს შეეძლია სადგურში დაუბრუნებლად წავიდეს მორიგი გამოძახების მისამართთან.

□ **საკურორტო** ქალაქ ბორჯომს ამ დღეებში კიდევ ერთი ახალი ნაგებობა შეემატა — ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მშენებლებმა ხარაჩოები ჩამოხსნეს კურორტვაჭრობის ბორჯომის განყოფილების ორსართულიან შენობას.

ახალი ნაგებობის პირველი სართული დაეთმობა ნახევარფაბრიკატების დამამზადებელ საამქროსა და მაღაზიას. შენობის მეორე სართულზე კი მოთავსდება კურორტვაჭრობის ადმინისტრაცია და ცენტრალური ბუხჰალტერია.

დ. ჭიჭილეიშვილი.

ზამთარი ჟუთისში

ფოტოტეუდი ა. ჩარკვიანისა.



ფელეტონი

ყინვა, ნაჯახი და თეთრი სამოთხე

ბაკურიანის ტყეში მიაბიჯებს ტყის მეგობარი. მას ძალიან უყვარს ტყე. იგი ყოველღღე ჩამოუვლის ბაკურიანის ტყეს და ბავშვივით ატირდება, როცა ფიჭვის მოტეხილ ტოტს ან ლაფნეჭამიამორეულ ხეს დაინახავს.

— ეს ტყე რომ არ იყოს, — გაიფიქრებს ხშირად ტყის მეგობარი (მას სომ. ასე უყვარს საწინააღმდეგოს დაშვება და ფიქრი), — ეს ტყე რომ არ იყოს, ბაკურიანი ასე ლამაზი არ იქნებოდა, ამ სათხილამურო ტრასებს წვიმა გადარეცხავდა და მოასწორებდა. ეს ტყე რომ არ იყოს, ბაკურიანში არ იქროლებდა ასე გრილი სიო და ფერდობებიდან არ იღვენდნენ ანკარა წყაროები. არ ეყოლებოდა დაბას ამდენი სტუმარი და არ დასწერდნენ ლექსებს ამ მზისა და თოვლის სამეფოზე. მაგრამ, — დასასკვნის ფიქრში ტყის მეგობარი, — ბაკურიანში არის ხუჭუჭა ტყე და წვიმა ვერ გადარეცხავს ამ ციცაბო ტრასებს, ბაკურიანში დაქრის გრილი სიო, ფერდობებიდან იღვრებიან ანკარა წყაროები, დაბას ჰყავს უამრავი სტუმარი და პოეტებმაც იციან რა დაარქვან თეთრი სამოთხის იდილიებს.

ცელქ სიოს შორიდან ნაჯახის კაკუნის ეკო მოაქვს. ტყის მეგობარი ხვდება, რომ ტყეში საშვილიშვილო ცოდვას სჩადის ტყის მჭრელი. ტყის მეგობარი ჩახმახივით შეიმართება, ხელს მიიდებს ოთხჯერ ნაინფაქტარ გულზე და ელვის სისწრაფით გარბის შემთხვევის ადგილისაკენ. ტყის მეგობარი მინდია რომ იყოს, გაიგონებდა ტყის სასოწარკვეთილ ძახილს: — იჩქარე, იჩქარე, მეგობარო, იქნებ ცოცხალს მიუსწრო. ბოროტი კაცი ძმასავით წამოსწრებულ შვილს მიკლავს, ამ სიცივეში სიმწრით გამოზრდილ შვილს!.. მაგრამ ტყის მეგობარი მინდია არ არის.

მირბის ტყის მეგობარი, და რაც უფრო წინ მიიწევს, მით უფრო ჩქარა და გარკვევით მოისმის ნაჯახის ცემა. — ვინ არის იგი? ბუნებრივია, ეგდება კითხვა ტყის მეგობარს.

შუაგულ ტყეში აკვანივით დაირწა ვეება ფიჭვი, მხრებზე შეყინული თოვლი შეიბერტყა, მიწას მოწყვეტილმა სცადა მეზობელს გვერდზე მიყრდნობოდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ხმაურით დაეცა. ტყის მჭრელი ზემოდან მოექცა ხეს და ტოტების შემოცლა დაუწყო. სწორედ ამ დროს მოვარდა აქლოშინებული ტყის მეგობარი.

— არა გრცვენია? — ეკითხება ტყის მეგობარი ტყისმჭრელს.

— არა.

— მე მრცხვენია შენ მაგივრად.

— დიდი მადლობა, რატომ სწუხდები.

— რა დაგიშავა?

— რაშ?

— ამ საცოდავმა ფიჭვმა.

ტყისმჭრელმა ქუდი მოიხადა და სინანულის ნიშნად მოცვალებული ფიჭვის წინაშე თავი ჩაქინდრა. ტყის მეგობარს ცრემლები მოადგა.

— მაინც რამ გაიძულა ხე მოგეჭრა?

— ცოლ-შვილმა.

— ცოლ-შვილი რაღამ აიძულა?

— სიცივემ.

— შეშა არა გაქვთ?

— არა.

— ბაკურიანში ათასი კომლია, ყველამ თითო ხე რომ მოჭრას, ეს ტყე ორ წელიწადში განიავდება.

— სწორი ბრძანდებით.

— რაღა მაინცდამაინც ხე უნდა მოსჭრათ?

— სხვა გამოსავალი არ არის. ჯერჯერობით თოვლს ეცალეთ არ ეკიდება.

— თქვენთან შარშან 17 ნოემბერს ხომ იყო რაიონის ხელმძღვანელთა თათბირი?

— იყო. მას შემდეგაც ბევრი თათბირი იყო.

— თუ გახსოვს, რა დაავალა თათბირმა ბაკურიანის სატყეო მეურნეობის დირექტორს ვალერიან შუბლაძეს?

— ორ კვირაში უზრუნველეყო ბაკურიანის მოსახლეობისათვის შეშის დამზადება და მიყიდვა.

— მერე?

— მერე შუბლაძემ 6 იანვარს ბაკურიანის სადაბო საბჭოს თავმჯდომარეს ნიკოლოზ მიქაბერიძეს მისწერა წერილი.

— თუ გახსოვს, რა ეწერა იმ წერილში?

— „დაბა ბაკურიანის მცხოვრებთათვის წაღვერის ქარხნის ეზოში გვაქვს მიზიდული ასი კუბური მეტრი ფიჭვის საშეშე მორები ორ-ორ მეტრ სიგრძეზე დაჭრილი.

მკვრივი კუბური მეტრი შეშა შვიდი მანეთი ღირს. გთხოვთ გაუნაწილოთ და მსურველნი გამოგზავნოთ სატყეო მეურნეობაში შეშის მისაღებად“.

— მერე?

— მერე მიქაბერიძემ გამოგვიცხადა, წადით წაღვერში და შეშა მიიღეთო.

— არ წასხვედით?

— არა.

— რატომ?

— წაღვერიდან შეშის ამოტანა უფრო ძვირი დაგვიჯდებოდა, ვიდრე საკუთარი სახლის ჩატანა წაღვერში.

— ბაკურიანის საბჭოთა მეურნეობას რომ თხუთმეტი უღელი ხარი ჰყავს, იმ ხარებით ამოგეტანათ.

— დაოოცვიღო, იმ გზაზე შეშას ხარი კი არა, მანქანა ძლივს ეწევა.

— მიქაბერიძე როგორ არის?

— გმადლობთ, კარგად.

— იცის, ბაკურიანელებს შეშა რომ არა აქვთ?

— იცის.

— თვითონ, რით ათბობს სადაბო საბჭოს ღუმელს?

— დაბის კეთილმოწყობის საშუალების ჩასატარებლად მიღებული დადგენილებებით.

— სადაბო საბჭოს მანქანა არა აქვს?

— თქვენც არ მომიგდეთ.

— რა აზრისაა ნ. მიქაბერიძე ბაკურიანელთა შეშით მომარაგებაზე?

— მიქაბერიძე ამბობს, ჩემი მოვალეობა მხოლოდ შეშის განაწილებაა, ხოლო წაღვერიდან განაწილებული შეშის ამოსაზიდად სპეციალური ორგანიზაცია უნდა შეიქმნასო.

— სიტყვამ მოიტანა და ერთი ტონა მარილი მჭირდება, „ასპის“ ზღვის ფსკერზე ტუტში შეიმუშავეს, სჭირდება არა უმეტეს 10 საათისა.

ნაყოფს ჯერ გაყინავენ სწრაფად, შემდეგ ათავსებენ კამერაში, სადაც თითქმის მთლიანი ვაკუუმის პირობებში ყინული ორთქლდება, ისე, რომ თხევად მდგომარეობაში არ გადადის. ასეთი საშუალებით ამუშავებენ ხილს, პიურეს, წვენებს. ასგრამიანი ფორმებიანი ფირფიტა, მაგალითად, 30 წამის განმავლობაში გადაიქცევა ერთ კილოგრამ გემრიელ წვენად. (საკდესი).

— ასეა, აბა რა ვქნათ, ბაკურიანში დიდი ყინვები იცის, სული მწარეა.

— რა ვარ სარ?

— განა სულერთი არ არის? მე ხომ ერთი გვარი არა მაქვს. მე ვარ დამზადების პუნქტის გამგე ვლადიმერ ბუდიშვილი, მე ვარ მძღოლი ფირუზ ფანჯაკიძე, ხვალ მე ვიქნები მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა წვრილშვილის პატრონი აშოტ ახესიანი და ტურბაზის ბუხჰალტერი ყაზარ უნანიანი. მე ვარ უშემობისგან სიცივით გაშეშებული, გამწარებული დაბის ათასმოთი სტუმარი და მასპინძელი.

— სინდისის ქეჯნას არა გრძნობთ?

— როგორ არა, აქ შემოსვლისას ერთ სიკვდილს ვათავებ ჩვენი დაბის მშვენებაზე ჩვენ თვითონ აღვმართეთ ხელი, დარდისაგან გავლოთდი კაცი.

...ტყის მეგობარი შინ დაბრუნდა.

ღამეა, ვარსკვლავებით მოჭედილა ცივი ზამთრის ცა.

მთვარე გაოცებული დასცქერის ახალ ცარიელ ადგილს ბაკურიანის მეჩხერ ტყეში.

ყინვა ძალა-რბილში ატანს.

ტყის მეგობრის ოთახში ძალიან ცივა, ღუმელმა კარგა ხანია შთანთქა მამაპაპეული ტაბურეტის უკანასკნელი ფეხი და ტყის მეგობარს შეშა სრულებით აღარა აქვს.

ზის იგი გაცივებულ ღუმელთან და პლაკატისათვის ტექსტებს თხზავს. გრძელ წითელ ქსოვილზე აკანკალებულ ხელს გამოჰყავს სიტყვები: „ზორს ღუმელისაგან“, „ტყისმჭრელო, რას სჩადიხარ“, „სირცხვილი მწვანე სამოსელის ქურდებს“, „ნაჯახი არ შეახო, დანადეფილია“ და სხვ.

ტყის მეგობარს ძალიან შესცივდა.

ეჰ, ულმობელო სიცივევ, თორემ ტყის მეგობარს როგორ უნდა შესცივდეს.

... ტყის მეგობარმა წერა შეწყვიტა. იგი ცოტა ხანს ჩასცქეროდა გაცივებულ ფანჯარას და რაღაცას ფიქრობდა. ყინვისაგან შეფუთულმა ერთხელ კიდევ დაიორთქლა თითები და ნაჯახი აიღო.

ყინვადა. ბუხრებიდან ამოდიოდა ცეცხლგარეული კვამლი.

მიდიოდა ტყისკენ მხარზე ნაჯახგადებული ტყის მეგობარი.

რ. მიშველაძე.

ზღვისპირეთში

ახალი ათონი. (საკ. კორ.). თოვა თითქმის ყოველ დამე ემუქრება მწვანედ გადამლილ ახალ ათონს მიდამოებს.

უკვე გადათეთრებულია ცადახიდული მთის კალთებიც კი, მაგრამ ხამთარი ვერა და ვერ მოერია მთასა და ზღვას შუა ვიწრო თვალწარმტაც ზოლს, სადაც ამ კურორტის ჯანმთელობის კერებია განლაგებული.

დილიდან საღამომდე მზის სხივებშია სანატორიუმ „აფხაზეთის“ დასასვენებელი სახლების „წყალარდნილისა“ და „ფსირცხის“ ქათქათა შენობები. მათი კომფორტაბელური პალატები ამ დღეებში სავსეა ხალხით.

რვა წლის მარწყვი

კოსმონავტმა მფრინავმა პავლე პოპოვიჩმა, როცა ამას წინათ კოსმინიოზში ახალი ტექნოლოგიით დაკონსერვებული ხილი იგემა, თქვა, რომ უარს არ იტყოდა კოსმოსში წაეღო ერთი პარკი ხენდრო ან ატამი, რომელნიც თითქმის უწონადია დედამიწაზე.

ხილი, რომელიც რვა წლის წინათ დააკონსერვეს სუბლიმაციის მეთოდით, ერთი წუთის განმავლობაში ახალ მოკრეფილს ემსგავსება. ამისათვის საკმარისია მათ წყალი მოვასხუროთ.

სუბლიმაციის პროცესს, რომელიც მოლდავეთის კვების მრეწველობის ინსტიტუტში მოამზადეს, ეწოდა „ცივი ორთქლი“. ეს ორთქლი ანადგურებს ბაქტერიებს, ფერმენტებს, ბუზებს, ობებს, ხიბლავს ხილის ფერს, ბუნებრივ სურნელებას, ვიტამინებს, ფერმენტებს, ბიოლოგიურ ფერმენტებს, ბიოლოგიურ ბალასტურ ნივთიერებებს, ინარჩუნებს ხილის ბიოლოგიურ ფასეულობას.

ეს ორთქლი ინარჩუნებს ბალახეულ ნაყოფთა ბიოლოგიურ ფასეულობას, ანადგურებს ბაქტერიებს, ფერმენტებს, ბუზებს, ობებს, ინარჩუნებს ბალახეულ ნაყოფთა ფერს, ბუნებრივ სურნელებას, ვიტამინებს, ფერმენტებს, ბიოლოგიურ ფერმენტებს, ბიოლოგიურ ბალასტურ ნივთიერებებს, ინარჩუნებს ბალახეულ ნაყოფთა ბიოლოგიურ ფასეულობას.

რუსუდან ხარაძე

საბჭოთა ეთნოგრაფიის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა თვალსაჩინო მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე რუსუდან ლუკიანეს ასული ხარაძე.

რ. ხარაძე დაიბადა 1909 წელს სოფ. ფარცხნალში (ხარაგოულის რაიონი) პედაგოგის ოჯახში. 1930 წელს მან დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1932-33 წ. წ. იგი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. 1936 წელს რ. ხარაძემ დაამთავრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა და მაშინვე დაიწყო მუშაობა აღნიშნული აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში.

1938 წელს რ. ხარაძეს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მას შემდეგ იგი მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში — ჯერ საქართველოს, მერმე კი კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1939 წელს რ. ხარაძეს მიენიჭა დოცენტის წოდება და იგი მრავალი წლის განმავლობაში კითხულობდა ეთნოგრაფიის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიჯრ მეცნიერი და გულისხმიერი პედაგოგი ჯეროვნად უმზადებდა კადრებს კავკასიის ეთნოგრაფიის დარგში როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე მეზობელ რესპუბლიკათა სამეცნიერო დაწესებულებებს.

1954 წელს რ. ხარაძეს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (პირველს საბჭოთა ეთნოგრაფ ქალებს შორის), ხოლო 1960 წელს — საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. რ. ხარაძის ფართო მეცნიერული ერუდიცია, [illegible] ეროვნულ ეფექტიანობა ეუმშვენია საქართველოს ყველა კუთხეში და ჩრდილო კავკასიის მთიანეთში. ამრიგად შეკრებილი მასალების საფუძველზე რ. ხარაძემ ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე გამოაქვეყნა 40-ზე მეტი საფუძვლიანი ნაკვლევი, რომლებიც მიძღვნილია ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების საზოგადოებრივი ყოფის ძირითადი საკითხების შესწავლისადმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფიები ქართველი ხალხის ძველი სოციალური ურთიერთობის საკითხებზე: „დიდი ოჯახის გადონაშთები სვანეთში“, „ქართული საოჯახო თემი“ (ორტომეული), „სვანეთის სოფელი ძველად“ და სხვ.

მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე რ. ხარაძე სისტემატიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო სესიებისა და კონგრესების მუშაობაში. მის ნაკვლევებსა და მოხსენებებს ყოველთვის დიდი მოწონებით ხვდებოდნენ როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი სპეციალისტები.

რ. ხარაძის დამსახურება ღირსეულად დაფასდა: იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით; მისი არაერთი ნაშრომი აღნიშნულია პრემიით.

ღვაწლმოსილი, დაუცხრომელი მეცნიერისა და პედაგოგის, ნამდვილი პატრიოტისა და დიდი მოქალაქის, პრინციპული და გულისხმიერი ადამიანის რუსუდან ხარაძის მაჯისცემა უდროოდ შეწყდა ახალ-ახალი დაუღალავი შემოქმედებითი ძიების პროცესში. ამ უმძიმეს დანაკლისს მწველი გულისტკივილით განიცდიან მისი მეგობრები, თანამოსაქმენი, მასწავლებლები, მოწაფეები და მადლიერი მკითხველები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის კათედრა;

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი;

საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საბჭოთა საზოგადოება.

• ჩემპიონატები • ტურნირები

საპაჭიო წოდებები

მ. მესხი, გ. ჩოხელი, ა. კიკნაძე და ფ. ჩიკვილაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატები

სპორტის დამსახურებულ ოსტატთა რიგებს კიდევ ხამი ფეხბურთელი შეემატა. სსრ კავშირის სახპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ეს საპატიო წოდება მიანიჭა ვიქტორ კონსტანტინეს (დინამოს ოსტროვის არმიის სახპორტო კლუბის გუნდი), მიხეილ მესხსა და ბიჭვი ჩოხელს (თბილისის „დინამო“).

მიხეილ მესხმა სსრ კავშირის ნაკრების ოფიციალურ შეხვედრებში ითამაშა ოცდაექვსჯერ. იგი მონაწილეობდა ევროპის თასის პირველ გათამაშებაში, სადაც ჩვენმა ფეხბურთელებმა პირველი ადგილი და თასი მოიპოვეს. საბჭოთა ნაკრების მარცხენა გარემარბმა მ. მესხმა თავი გამოიჩინა აგრეთვე ჩილის მსოფლიო პირველობის გათამაშებაში.

ჩვენი ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა ბიჭვი ჩოხელმა საბჭოთა ნაკრების ოფიციალურ მატჩებში ოცჯერ ითამაშა. იგი მონაწილეობდა ევროპის თასის 1960 წლის და მსოფლიოს 1962 წლის პირველობის გათამაშებებში.

ჩვენი რესპუბლიკის დამსახურებულ ოსტატთა რიგებს ანზორ კიკნაძისა და ფარნაოზ ჩიკვილაძის სახით ორი სპორტსმენი შეემატა. ეს საპატიო წოდება მათ მიანიჭა სსრ კავშირის სახპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა წლების მანძილზე სამბოსა და ძიუ-დოში მოპოვებულ წარმატებათა გამო.

ანზორ კიკნაძე სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონია ჭიდაობა სამბოში. მის გამარჯვებათა რიგებში შედის აგრეთვე ევროპის აბსოლუტური პირველობა ძიუ-დოში. ასევე წარმატებით გამოდის საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრებში ფარნაოზ ჩიკვილაძე. მან ა. კიკნაძესთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობაში.

სპარტაკიადა ფართოდება

მოსკოვი, 16 თებერვალი. (საკდესი). ტექნიკურ საბჭობთა სპორტის მესამე საკავშირო სპარტაკიადა, რომლის სტარტი გასული წლის იანვარში იქნა მიცემული, ახლა დასკვნითს ფაზაშია. მოეწყობა ფინალური შეხვედრები: მარტ-მაისში რაიონებსა და ქალაქებში, მაის-ივნისში ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ივლისში — მოკავშირე რესპუბლიკებში. ხოლო შემდეგ მოსკოვში, კიევში, მინსკში, ტაშკენტში, რიგაში, დუშამბეში, ტალინში, ერევანში, ლენინგრადში, კაუნასში, ყაზანში, ლვოვსა და სხვა ქალაქებში საკავშირო დასკვნითი შეჯიბრება გაიმართება საავიაციო, საავტომობილო, სამოტოციკლეტო, რადიოს, წყალმოტორის, წყალქვეშა, სროლისა და სხვა სახეობათა სპორტში.



სტადიონებზე

პორტუგალიის პირველობაზე ლიდერობას „ბენფიკა“ ინარჩუნებს. მორიგ ტურში ნაბ მოუგო „ლეიკსს“ ანგარიშით 4:0. „ბენფიკამ“ 27 ქულა შეაგროვა.

სუფრანგეთში ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფება „ვალენსი“, რომელსაც 22 თამაშიდან 27 ქულა აქვს. მან ბურთების უკეთესი შეფარდებით გაუსწრო „ბორდოს“ საფეხბურთო გუნდს.

ამსტერალიაში წლევანდელ სეზონში მოეწყობა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიაც მასპინძლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ „ლიეგი“, „სარაგოსა“, „ციურიხი“ და „ნიურბერგი“.

სპორტული ქრონიკა

△ **მალე** ფინეთის ქალაქ ტამპერეში დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ფინეთში უკვე ჩავიდნენ კანადელები. გუშინ ისინი შეხვდნენ ადგილობრივ ნაკრებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2.

△ **ბრძოლდება** ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება ფრენბურთში. გუშინ ფინეთის ქალაქ ლახტში გაიმართა მეორე მერვედფინალური მატჩი ფინეთის საკლუბო გუნდ „კიმოსა“ და სსკა-ს შორის. გაიმარჯვა სსკა-ს გუნდმა 3:0 და მეოთხედფინალში გავიდა.

△ **გუშინ** თბილისში დამთავრდა საქართველოს ნიშვილის სახელობის — დეკემბერის ოჯახი (მე-12 ადგ. მე-2 წარმოდგენა), გრიბოედოვის სახელობისა — პიველი ნაბიჯი (მე-13 ადგ. მე-5 წარმოდგენა), სანკულტურის — ერთი დღე ადამიანზე (მე-10 ადგ. მე-2 წარმოდგენა), მოზარდ მაყურებელთა ქართული — კონა (№ 11 ადგ. საღ. 6 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ვინ მოჰკლა ტომი (დღეს 4 ს.).

ტელევიზია

18 თებერვალი

11.00 — კინონარკვევი, 12.00 — მხატვრული ფილმი „მტკიცე ხასიათის ქალიშვილი“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — „მზე შინა და მზე გარეთა“, 18.20 — მოსწავლეთათვის — „ჰანგების სამყაროში“, 18.40 — კინონარკვევი, 18.50 — გადაცემა — „ჩვეულებრივი დღე“, 19.05 — განცხადებები, 19.10 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის—„სოფელ ლეხაინდრაოში“, 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — ჟურნალ „ცისკრის“ მიმოხილვა, 20.05 — გადაცემა ციკლიდან — „ქართველი კომპოზიტორები“ — შოთა მილორავა, 20.45 — ახალი ამბები, 21.00 — მხატვრული ფილმი „მტკიცე ხასიათის ქალიშვილი“, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 19 თებერვლისათვის, 22.30 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან).

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

დისერტაციის დაცვა

1965 წლის 4 მარტს, დღის 12 საათზე საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე (რუსთაველის პროსპექტი, 29) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად არტემ ივანეს-ძე აზიროვი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მშრომელთა ჩაბმისათვის (1956-1963 წწ.)“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და გალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი

რუსთველი მომდერლის, ბუჭარესტის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის პრემიერის, დამსახურებული არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის

აგატა დრუზესკუს (სოპრანო) **გასტროლები**

პარასკევი, 19 თებერვალი „ჯ. ვერდი აიდა“
1-ლი აბონემენტის მე-3 სპექტაკლი
აიდას პარტიას შეასრულებს ა. დრუზესკუ

კვირა, 21 თებერვალი. „ჯ. პუჩინი ბოჰემა“
მე-15 აბონემენტის მე-3 სპექტაკლი
მიმის პარტიას შეასრულებს ა. დრუზესკუ